



ადმონსავლეთის ჰარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის
საქართველოს ეროვნული პლატფორმა

პირველი სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი

თარიღი: 29 მარტი, 2012 წელი

დრო: 16:00 - 17:00 საათი

შეხვედრის ადგილი: ევროპის სახლი

პირველი სამუშაო ჯგუფის შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. თამარ ჩუგოშვილი – საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (ჯგუფის თანაკოორდინატორი)
2. ნინო ლომჯარია – სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ჯგუფის თანაკოორდინატორი)
3. ხათუნა მურღულია – ჰაინრიხ ბიოლის ფონდი
4. გიორგი თაბაგარი – ფონდი ინკლუზივი
5. ეკა ურუშაძე – საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი
6. მარიამ გორეცკაია – მედიის განვითარების ფონდი
7. თათია გურგენიძე – მწვანე ტალღა
8. ირაკლი მხეიძე – სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი
9. გიორგი თევზაძე – ადამიანის უფლებების დაცვისა და პატიმართა სოციალური უზრუნველყოფის საერთაშორისო ორგანიზაცია
10. ანა ცხოვრებოვა – სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი
11. ეკა გიგაური – საერთაშორისო გამჭვირვალობა–საქართველო
12. ლაშა გოგიძე – საერთაშორისო გამჭვირვალობა–საქართველო

13. სალომე ბულია – ლიბერალური აკადემია თბილისი
14. მარინა მუსხელიშვილი – ევროპული კვლევები საქართველოს ინოვაციური განვითარებისათვის
15. მერი ლობჯანიძე – პედაგოგთა კავშირი “განათლება და სამყარო”

საერთო კრების შემდეგ ეს იყო ამ სამუშაო ჯგუფის პირველი შეხვედრა. შეხვედრა გახსნეს კოორდინატორებმა, რომლებმაც თავიდანვე შეახსენეს წევრებს შეხვედრის მიზანი - პრიორიტეტების განსაზღვრა და წლის სამუშაო გეგმის შემუშავება. კოორდინატორმა გააცნო დამსწრეებს საერთო კრებაზე დასახელებული პირველი სამუშაო ჯგუფის 5 შესაძლო პრიორიტეტული თემა. ამასთანავე, შესთავაზა დამსწრეებს ამ პრიორიტეტების განხილვა და კონკრეტული ქმედებების განსაზღვრა, რათა შეხვედრის შემდეგ შესაძლებელი გახდეს ამ ქმედებების განხორციელების დაწყება.

ეს პრიორიტეტებია:

1. ევროკავშირსა და საქართველოს მთავრობას შორის მიმდინარე ე.წ. ადამიანის უფლებათა დიალოგში პლატფორმის სახელით აქტიური მონაწილეობის მიღება;
2. არჩევნები
3. ადამიანის უფლებების მონიტორინგი
4. მედიის დამოუკიდებლობა
5. ადგილობრივი თვითმმართველობისა და პარლამენტის საქმიანობის შეფასება

ჯგუფმა ხუთივე პრიორიტეტი განიხილა:

პირველი პრიორიტეტი - აქ პლატფორმა თავის როლს ხედავს ევროკავშირის წარმომადგენლებისთვის ადამიანის უფლებათა დაცვის და კანონის უზენაესობის კუთხით პრობლემატიკის შესახებ ინფორმირებაში, რასაც სავარაუდოდ ევროკავშირი მთავრობასთან კომუნიკაციისთვის გამოიყენებს.

ევროკავშირთან ადამიანის უფლებათა დიალოგში შესატანი კონკრეტული თემები უფრო დეტალურად შეხვედრის მიმდინარეობისას, განსაკუთრებით მესამე პრიორიტეტის განხილვისას გამოიკვეთა.

მეორე პრიორიტეტის აქტუალურობას მნიშვნელოვნად ზრდის ის ფაქტი, რომ 2012 საარჩევნო წელია. რადგან საია, საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო და სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება სხვა

რამდენიმე წევრ ორგანიზაციასთან ერთად, თავიანთი საქმიანობიდან გამომდინარე, ისედაც ფარავს ამ პრიორიტეტებს, კოორდინატორმა გააცნო დამსწრეებს ამ მიმართულებით მათი აქტივობები და გეგმები. ამასთან, ყველა დაინტერესებულ წევრს შესთავაზა ამ ღონისძიებებში ჩართვა და ამ საკითხების ლობირება პლატფორმის სახელით.

ზემოთ აღნიშნული ორგანიზაციები მუშაობენ ერთის მხრივ, საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესების, ხოლო, მეორეს მხრივ, საარჩევნო გარემოს საკითხებზე.

არჩევნების მიმართულებით, ზემოთ აღნიშნული ორგანიზაციების საქმიანობა მრავალმხრივია. ისინი ჩართულები არიან წინასაარჩევნო გარემოს მონიტორინგში. შესაბამისად, პერიოდულად წარადგენენ ანგარიშებს, როგორც ზოგადად წინასაარჩევნო გარემოზე, ასევე უშუალოდ არჩევნების დღის თაობაზე, მათ შორის, ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების, მოქალაქეთა მოსყიდვის, ზეწოლის და სხვა მსგავსი ფაქტების გამოვლენით, თუ მათ ადგილი ექნებათ. ხოლო მას შემდეგ, რაც კონტროლის პალატა ჩაერთო საარჩევნო პროცესებსა და პოლიტიკური პარტიების დაფინანსების საკითხებში, მონიტორინგი მის საქმიანობაზეც განხორციელდება.

გარდა ამისა, ამ ორგანიზაციებმა მოითხოვეს ეუთოს სადამკვირვებლო მისიის საქართველოში მოწვევის საკითხიც. არსებული ინფორმაციით, ეუთოს შეფასების მისია ზაფხულიდან შეუდგება მუშაობას.

ასევე იგეგმება ღონისძიებები ამომრჩეველთა ცნობიერების ამაღლების კუთხით. სავარაუდოდ მაისის თვეში იგეგმება არჩევნებთან დაკავშირებით მრავლისმომცველი ვებ პორტალის ამოქმედება. ამ ვებ პორტალზე განთავსდება ჟურნალისტური გამოძიებები, კომპეტენტური ორგანიზაციების და სადამკვირვებლო მისიების ანგარიშები. ვებ-გვერდზე ასევე შეიქმნება ორი რუქა. ერთზე განთავსდება ორგანიზაციების მიერ აღმოჩენილი დარღვევების ფაქტები და ადგილები, ხოლო მეორე რუქაზე მოქალაქეებს შეეძლებათ მსგავსი ინფორმაციის მოკლე ტექსტური შეტყობინებებით გაგზავნა. ამ ფორმატის რუქები ხელს შეუწყობს მთელი ქვეყნის მასშტაბით საარჩევნო დარღვევებზე საერთო სურათის შექმნას. ხოლო ვებ გვერდი გარდა სხვა ინფორმაციისა, ნათლად წარმოაჩენს არასამთავრობო ორგანიზაციების საარჩევნო საქმიანობას.

რაც შეეხება **საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესებას**, ამ მხრივაც მრავლისმომცველია იგეგმენა მრავალმხრივი საქმიანობა.

პლატფორმის პირველი სამუშაო ჯგუფის მონაწილე ზოგიერთი ორგანიზაცია ითხოვს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ კანონში ცვლილებების შეტანას. ამასთან დაკავშირებით წამოწყებულია კამპანია 'ეს შენ გეხება', რომელშიც 200-მდე ორგანიზაციაა უკვე გაერთიანებული. აღსანიშნავია, რომ 2012 წელს ეროვნულმა პლატფორმამ აქტიური მონაწილეობა მიიღო ამ პროცესებში. ერთის მხრივ, პლატფორმის წევრი ორგანიზაციები მიუერთდნენ პეტიციას, რომელიც საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელებას ითხოვს, ხოლო მეორეს მხრივ, პლატფორმის სახელით (წევრთა უმრავლესობის ხელმოწერით), გაფართოვების საკითხებში ევროკომისის სტეფან ფულეს გაეგზავნა წერილი, რომელიც ევროკავშირს მიმართვას თხოვნით არჩევნების საკითხი პრიორიტეტულად განიხილოს საქართველოსთან ოფიციალურ კომუნიკაციაში და მხარი დაუჭიროს გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიების მივლინების ინიციატივას.

საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესების კუთხით ასევე ეწყობა სხვადასხვა აქციები. მათ შორის უახლოესი დაგეგმილია 31 მარტს, რაც მოიაზრებს ქალაქის 6 ცენტრალურ მოედანზე ცოცხალი ჯაჭვის გაკეთებას. აქცია გამოხატავს სამოქალაქო სოლიდარობას შემდეგ თემებზე: ადამიანის უფლებათა დაცვა, მედია, განათლების უფლება, არჩევნები, გარემოს დაცვა, ურბანული უკანონო მშენებლობები (გუდიაშვილის სახელობის სკვერში დაგეგმილ უკანონო მშენებლობასთან დაკავშირებით).

მესამე პრიორიტეტად გამოიკვეთა ადამიანის უფლებების მონიტორინგი. აღნიშნა, რომ ამ საკითხის ფარგლებში სასურველი იქნებოდა ჩრდილოვანი ანგარიშების მომზადება მაგ., იმ კონვენციებზე, რომელზეც უწევს ანგარიშგება სახელმწიფოს.

მომრავლებული შემთხვევების გამო, ხანგრძლივი და დეტალური განხილვის საგანი გახდა ადმინისტრაციული პატიმრობის საკითხი. როგორც კოორდინატორმა აღნიშნა, ადმინისტრაციული პატიმრობის საქმეები რაოდენობრივად შეადგენს სისხლის სამართლის პატიმრობების თითქმის ნახევარს. კოორდინატორმა აღნიშნა, რომ ამ დაკავებების აბსურდული ხასიათის გამო, ამგვარი პრაქტიკა ყოფილი საბჭოთა კავშირის უმეტეს ქვეყანებში აღარ არსებობს, მითუმეტეს იმ სახით, როგორც საქართველოშია. საერთაშორისო ორგანიზაციებმა თავიანთ ანგარიშებში სააშკარაოზე გამოიტანეს ეს პრობლემა და საქართველოს პარლამენტი აპირებს მათში ცვლილების შეტანას. იმისათვის, რომ არსებითი ცვლილებები განხორციელდეს, კანონმდებლობაში გამოიკვეთოს პროცედურული გარანტიები და ადამიანის უფლებებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი კომპონენტები, ჯგუფის წევრები შეთანხმდნენ ამ მიმართულებით გააქტიურების აუცილებლობაზე, განსაკუთრებით, მათში დაგეგმილი პარლამენტის შეკრებამდე. შესაბამისად, კოორდინატორი წევრებს

დაჰპირდა შეხვედრის შემდეგ ადმინისტრაციულ დაკავებასა და პატიმრობასთან დაკავშირებით არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მომზადებული რეკომენდაციების გაგზავნას. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ რეკომენდაციები მისაღები აღმოჩნდება, ჯგუფის წევრები დაგეგმავენ მათი ადვოკატირების გზებს პლატფორმის სახელით. კოორდინატორმა ასევე აცნობა დამსწრეებს, რომ ადმინისტრაციულ პატიმრობასთან დაკავშირებით 6 აპრილს დაგეგმილია საკმაოდ წარმომადგენლობითი ფორუმი, რომელსაც დაესწრება აშშ-ს ელჩიც და ჯგუფის წევრებსაც შეეძლება დასწრება.

სასჯელაღსრულების მიმართულებით, ევროკავშირთან ადამიანის უფლებების დიალოგში შესატანად შემოთავაზებულ იქნა ასევე შემდეგი წინადადებები: 1) სასჯელაღსრულების დაწესებულებებში სახალხო დამცველის და სხვა საზოგადოებრივი მონიტორინგის დაშვება; 2) ასეთ დაწესებულებებში „დამნაშავეების დასჯის“ საკითხი. დამსჯელებში იგულისხმებიან მაგ., ე.წ. „ჯალათები“, რომლებსაც ევალებათ პატიმრების ცემა და წამება (მაგ., გლდანის მე-8 საპყრობილე). აღინიშნა, რომ არსებული პოლიტიკა ხელს არ უწყობს, არამედ ზოგიერთ შემთხვევაში წაახალისებს კიდევ ამგვარ პრაქტიკას და სახალხო დამცველის მიერ (შარშანდელ ანგარიშში) მათი სახელების გაჟღერების მიუხედავად, არ გადადგმულა ქმედითი ნაბიჯები პრობლემის მოსაგვარებლად.

ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით ასევე გაიჟღერა წინადადებამ ევროკავშირისთვის კონტროლის პალატის მიერ მოქალაქეთა დაკითხვის კონკრეტული ფაქტების მიწოდებასთან დაკავშირებით.

ევროკავშირისთვის, მთავრობასთან ადამიანის უფლებათა დიალოგში განსახილველ თემად, ჯგუფის ერთ-ერთი წევრის ინიციატივით გადაწყდა დევნილების საკითხის დამატებაც. როგორც აღინიშნა, მთავრობის მხრიდან შეჩერებულია ისეთი საკითხები, როგორცაა, საცხოვრებელი ფართების დაკანონება და პროვატიზება, კომპენსაციების გაცემა, დევნილის სტატუსის მინიჭება.

მეოთხე პრიორიტეტი არის თავისუფალი მედია, რაც ფართო თემაა და ამიტომ თავად ჯგუფმა უნდა დაგეგმოს უფრო ვიწრო კონტექსტში კონკრეტული ნაბიჯები და ღონისძიებები თავისი შესაძლებლობების ფარგლებში.

მეხუთე პრიორიტეტი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და პარლამენტის საქმიანობის შეფასებას ეხება.

პარლამენტის საქმიანობის თემა კიდევ უფრო საინტერესო გახდება ქუთაისში გადასვლის შემდეგ, რადგან, სავარაუდოდ, შეფერხდება საზოგადოებასთან კომუნიკაცია და გაიზრდება ხელმისაწვდომობის და საჯაროობის შემცირების საფრთხე. თვითმმართველობის საკითხი მოიაზრებს იმას თუ რამდენად არის უზრუნველყოფილი თვითმმართველობა საქართველოს კანონმდენლობით.

სამართლებრივი და იურიდიული საკითხების გარდა, ერთ-ერთი წევრის ინიციატივით, განხილულ იქნა ევროპული და აზიური ღირებულებების თემაც, რის შედეგადაც დაიგეგმა შემდეგ შეხვედრაზე თემის ინიციატორის მიერ ევროპულ დემოკრატიაზე გაცნობითი ხასიათის პრეზენტაციის ჩატარება. პრეზენტაციის შემდეგ ჯგუფი საჯაროდ დააფიქსირებს არამართო თავის მისწრაფებებს ევროპული ღირებულებებისადმი, არამედ საზოგადოებასაც გააცნობს ამ ღირებულებების არსს. ჯგუფი განცხადების ფორმას მოგვიანებით განსაზღვრავს.

შეხვედრის ბოლოს შეთანხმდნენ, რომ კოორდინატორი გაუგზავნის წევრებს იმ საკითხების ჩამონათვალს, რომლებიც ჯგუფმა წლის პრიორიტეტებად განსაზღვრა და ასევე, საიას მიერ ევროკავშირისთვის გაგზავნილ საკითხებს, რაც მნიშვნელოვანია ზემოთ აღნიშნული დიალოგისთვისაც. ხოლო წევრებმა ელექტრონულ ფორმატში უნდა გააგზავნონ თავიანთი მოსაზრებები, ცვლილებები და წინადადებები. შეჯერებულ დოკუმენტი გაეგზავნება ევროკავშირს, რაც შემდგომში ევროკავშირსა და საქართველოს მთავრობას შორის განხილვის საგანი გახდება.

დაახლოებით ერთ საათიანი მსჯელობის შემდეგ პირველი სამუშაო ჯგუფის შეხვედრა დასრულდა.